გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2022 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

მცხეთის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
   დახმარების ხელი იაპონიის მთავრობისაგან - ნარჩენების მართვის გასაუმჯობესებლად 1 ერთეული 14 მ3 ნაგავმზიდის შესყიდვა და გადაცემა მცხეთის მუნიციპალიტეტისათვის.
2. **თემატიკა:**
   საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობა და გავითარების პროექტებისათვის საერთაშორისო დაფინასების მოძიების წარმატებული გამოცდილება
3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

   მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია,
4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**
   მცხეთის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული მცხეთა-მთიანეთის მხარეში. მცხეთის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქ.თბილისი, დასავლეთით კასპის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით გარდაბნისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია - 636.25 კვ.კმ მანძილი ქალაქ თბილისის ცენტრიდან ქ. მცხეთის ცენტრამდე - 22 კმ. ქ.მცხეთა მდებარეობს 480 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.
   მცხეთის მუნიციპალიტეტში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა (საშუალო წლიური ტემპერატურა - 10,80 C ; ინავარში - 1,10C, ივლისში - 22,10C – 240C). იცის ცივი ზამთარი (აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -190C) და ცხელი ზაფხული (აბსოლუტური მაქსიმალური + 39 0C) .
   ნალექი წელიწადში -590 მმ, საშუალოდ 300-350 მმ; მაქსიმუმი - 600 მმ; მინიმუმი - 100. მცხეთის მუნიციპალიტეტი მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში.მცხეთის მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 ქალაქს, 62 სოფელს და 1 დაბის ტიპის დასახლებას - ზაჰესი-პლატინის ქუჩა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან 22 ადმინისტრაციულ ერთეულად.
   მცხეთის მუნიციპალიტეტის საბინაო ფონდი შეადგენს 14853 საცხოვრებელ სახლს თემში, 2947- მდე კერძო სახლს ქ.მცხეთაში, 114 მაღალსართულიან კორპუსს. მათ შორის 53 -ს ქ.მცხეთაში, 59 თემში; 3000 ოჯახი კომპაქტურად ჩასახლებულია სოფ.წეროვანსა, წილკანსა და ფრეზეთში (სულ 10200 კაცი; მ.შ 7600 დევნილი ახალგორიდან , 2600 კაცი - ფრონეს, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებიდან). სულ მოსახლეობა შეადგენს 52,6 ათ.კაცს. მცხეთის მუნიციპალიტეტში 2022 წლის მდგომარეობით, აღირიცხა 8232 პენსიონერი (მოსახლეობის 15 %) . სოციალურ პაკეტის მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 2003 პირს (მოსახლეობის 4 %). მცხეთის 1897 ოჯახი (13 %), სულ 7528 პირი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, რაც მოსახლეობის 16.4 %. მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 2022 წლის ოქტომბრის მონაცემებით შეადგენს 16.5 კაცს კვ. კმ-ზე (რეგიონის მიხედვით) და 12.1 კაცი მუნიციპალიტეტის ფართობის მიხედვით.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე დიდ აგვლენას ახდენს **შიდა ფაქტორებიდან** შემდეგი შესაძლებლობები : მცხეთის მუნიციპალიტეტს ჰყავს კვალიფიციური კადრები, რომლების წლების განმავლობაში მუშაობენ საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სხვადასხვა მიმართულებით და გააჩნიათ პირადი გამოცდილება ფულადი სახსრების მოზიდვის - გრანტების მოპოვების მიმართულებით.

აქამდე მუნიციპალიტეტს აქვს მოპოვებული 10- მდე საგრანტო ფულადი თანხა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს გააჩნია საუკეთესო თანამშრომლობის პრაქტიკა, სამუშაო გამოცდილება ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის, რაც ტექნიკურად ეხმარება მიაღწიონ დასახულ მიზნებს. მუნიციპალიტეტი იყენებს ყველა შესაძლო ურთიერთობისა და თანამშრომლობის, განათლების მიღებისა, კვალიფიკაციის ამაღლების პლათფორმებს, რათა განავითაროს და დახვეწოს საკუთარი გამოცდილება და იდეები.

გარე ფაქტორებიდან კი გააჩნია შემდეგი შესაძლებლობები : 2022 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს გააჩნია საკმარისი საკუთარი საბიუჯეტო რესურსი, რათა განახორციელოს პროექტის სრული ღირებულების ოდენობიდან 20-30 % -იანი თანადაფინანსება. მუნიციპალიტეტი რაციონალურად იყენებს საკუთარ ბიუჯეტს და ცდილობს შეავსოს ის წინასწარ დასახული ამოცანების შესასრულებლად საერთაშორისო დონორების ფულადი შემოსულობებით, სესხისა ან სხვა სახის ფულადი რესურსებით. იქიდან გამომდინარე, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტი სარგებლობს დიდი პოპულარობით (ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე) და გააჩნია მდიდარი ტურისტული საგანძური, ეს ფაქტორი დადებით როლს თამაშობს მოსახლეობის სოციალურ ფონზე. ასევე მუნიციპალიტეტის ადგილმდებარეობა განაპირობებს მის სოციალურ და ეკონომიკურ პოტენციალს. მცხეთის მუნიციპალიტეტში გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები: ს-3 მცხეთა - სტეფანწმინდა – ლარსის მაგისტრალი; ს-1 თბილისი – სენაკი - ლესელიძის მაგისტრალი. აგრეთვე, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები: ციხისძირი-ახალგორი-ლარგვისი; ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორი-სკრა-ქარელი-ოსიაური; ნარეკვავი-მცხეთა-რკინიგზის სადგური; მცხეთა-შიომღვიმის მონასტერი; ნატახტარი-წილკანი-მუხრანი; ზაჰესი-ჯვრის მონასტერი; ნიჩბისი-დიდგორი-დიდი თონეთი ; წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამია; თბილისი (გლდანი) - თიანეთი. აქვე შეგახსენებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტს, თავისი ისტორიულ-არქიტექტურული, არქეოლოგიური, ბუნებრივი და ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის მიხედვით, ტურიზმის განვითარების უდიდესი შესაძლებლობები აქვს.

სოფლის მეურნეობა და გადამუშავება შეიძლება მივიჩნიოთ, ასევე მუნიციპალიტეტის ტურისტული მიმზიდვილობის ჰაბად. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 20-ზე მეტი მსხვილი საწარმო, მათ შორის 9 მეფრინველეობის ფერმა -სასაკლაო, 4 ღვინის და შამპანურის მწარმოებელი, 1 თხილის, 2 ხორცის გადამამუშავებელი და 3 მეცხოველეობის ფერმა, ქსნის მინის ქარხანა, ლუდის და წყლის ჩამოსასხმელი ქარხნები, ქართული შოკოლადის, ნაყინის და ტკბილეულის მწარმოებელი ქარხანა, უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ქარხანა, კარიერები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები.

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - იქიდან, გამომდინარე, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში წინა წლებში გროვდებოდა 25 ტონა ნარჩენი ყოველდღიურად (პანდემიის პირობებში და ტურისტული ნაკადებისა და უკრაინიდან დევნილი მოსახლეობის ზრდა) ნარჩენების რაოდენობა გაიზარდა 60 ტონამდე დღეში, შესაბამისად მუნიციპალიტეტში არსებული ტექნიკური პარკით ვერ ხერხდებოდა მოსახლეობისათვის სრულყოფილი სერვისის მიწოდება.
- **პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება:** 9 ერთეული სპეცტექნიკიდან (3 მუდმივად ითხოვდა შეკეთებას) 6 ერთეული მოძველებული სპეცტექნიკა არ ყოფნიდა ნარჩენის შეგროვებასა და ნაგავსაყრელზე 50 კმ-ში გატანას. შესაბამისად, გადაუდებელ აუცილებლობას, წარმოადგენდა ნაგავმზიდის შესყიდვის საკითხის მყისიერად გადაჭრის გზების მოძიება.

სოფლებში (მ.შ. მაღალმთიან დასახლებებში) ნარჩენების დაგროვება იწვევს გარემოს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებების პირობებში კი, ძლიერი წვიმის შემთხვევაში, ხევში ჩაყრილი ნარჩენები ხერგავს მდინარის კალაპოტს, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს ბუნებას და მოსახლეობას. ეს გარემოებები იწვევს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას, იზრდება უკმაყოფილო მოსახლების პროცენტული წილი და უფრო ხშირად აწუხებენ ამ პრობლემის გადაჭრით ადგილობრივ მუნიციპალიტეტს.

- **წარსული გამოცდილება** - ნარჩენის რაოდენობა იზრდებოდა წლიდან წლამდე, ამიტომაც მუნიციპალიტეტს თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე ზრდიდა მომსახურების არეალს ურნების რაოდენობის გაზრდის ხარჯზე. ურნებისა და ნაგავმზიდების ნაწილი იქნა შეძენილი სესხით.

- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდგომ, შემცირდა მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი ნარჩენების აგროვების პერიოდულობა, გაიზარდა რეისების რაოდენობა, დამატებით გაჩნდა ახალი გამართული ორხიდიანი სპეცტექნიკა, რომლის გამოყენებამ გაადვილა მაღალმთიან საფლებში მომსახურების პროცენტული წილი, გაიზრდა მუნიციპალიტეტის მომსახურების დაფარვის არეალი 5 %-ით. გაუმჯობესდა მომსახურება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა 3 კომპაქტური დასახლების დასუფთავების მხრივ, შესაბამისად, გვყავს ნაკლები უკმაყოფილო მოქალაქე, გაუმჯობესდა დასახლებული პუნქტების გარემო და ცხოვრების დონე, შევძელით სპონტანურად შექმნილი ნაგავსაყრელების ალაგება და დაბინძურებული ტერიტორიების დასუფთავება.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

- **პროექტის შინაარსი;** მცხეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გასაუმჯობესებლად 1 ერთეული 14 მ3 ნაგავმზიდის შესყიდვა და გადაცემა.
- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტის განაცხადი შედგენილია ინგლისურ ენაზე (საელჩოს მოთხოვნების შესაბამისად). გთხოვთ, იხილოთ თანდართული ფაილი (*არქივი 9).*

პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი

გთხოვთ, იხილოთ თანდართული დოკუმენტაცია (არქივი 9).

- *მცხეთის მუნიციპალიტეტი მოქმედებს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N170 განკარგულების ფარგლებში (მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 თებერვლის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე")*

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;**
  გთხოვთ, იხილოთ თანდართული დოკუმენტაცია (არქივი 9).

- *აღნიშნული პროექტის განხორციელებისას მნიშვნელოვანი დახმარების ხელი გაგვიწოდა არასამთავრობო ორგანიზაციამ - „ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები -საქართველო" , რომელმაც შეასრულა მედიატორის და გრანტის მიმღების როლი მცხეთის მუნიციპალიტეტსა და იაპონიის საელჩოს შორის. პროექტი მხარდაჭერილია საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების მხრიდან.*

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**

- მცხეთის მუნიციპალიტეტმა გამოიყენა როგორც საკუთარი, ასევე არასაკუთარი ადამიანური რესურსი (მუნიციპალური კადრი, არასამთავრობო ორგანიზაციის ადამიანური რესურსი, საელჩოს ადმინისტრაციის კადრი).
- ფინანსური რესურსებიდან, მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საკუთარი და დონორის ფინანსური რესურსები.
- მატერიალურ -ტექნიკური რესურსებიდან გამოიყენა შეხვედრებისა და პრეზენტაციების გასამართად საკუთარი, საელჩოსა და არასამთავრობო ორგანიზაციის შენობა-ნაგებობა.

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
  - პროექტის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული პრობლემები არ გამოკვეთილა.
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
  - *პროექტის განხორციელების პროცესში ჩართულნი იყვნენ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები.*
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**
  - *პროექტის განხორციელების პროცესში მისი წარმატებით განხორციელებისათვის ყველა მონაწილე პირმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. პირველ რიგში იაპონიის მთავრობისა და საელჩოს კოორდინატორებმა, რომლებმაც სწორად შეაფასეს ჩვენი გამოწვევა.*

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი ნამდვილად არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, იქიდან გამომდინარე, რომ როგორც საყოფაცხოვრებო, ისევე სამრეწველო ნარჩენები დიდ მასშტაბებს აღწევს, ხოლო არალეგალური და სპონტანურად შექმნილი ნაგავსაყრელები იკავებენ მიწის საკმაოდ დიდ ფართობს, თავისთავად აბინძურებენ ნიადაგს, ატმოსფეროსა და წყლის რესურსებს, რაც, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა დაავადებებისა და ეპიდემიების გამომწვევი მიზეზი ხდება, მუნიციპალიტეტს ესაჭიროება ნარჩენების მართვასთან სწორი მიდგომების მოძებნა, რათა უამრავი პრობლემა იქნეს აცილებული თავიდან.

გარდა ამისა, ადგილობრივი შემოსულებებით, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკუთარი სხვა დამატებითი ფინანსური რესურსები, რომ შეიძინოს კიდევ ერთი ერთეული სპეცტექნიკა, რადგანაც მოსახლეობისა და იურიდიულ პირებისაგან 2020 წელს შემოსულმა ადგილობრივმა მოსაკრებელმა შეადგნა სუბსიდირებული თანხის მხოლოდ 40 % -ი.

პროექტის განხორციელების შემდგომ, პირდაპირი სარგებელი ექნება 8400 ადამიანს ქალაქ მცხეთაში და 47900 ადამიანს სოფლად, მათ შორის 10200 დევნილს, 500 იურიდიულ პირს. კმაყოფილი დარჩება მოსახლეობის 95 %-ი, გაუმჯობესდება გარემო, ნაკლებად დაბინძურდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და წყლის სატევარები.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები**
  - *<u>მუნიციპალიტეტში სწორად გათვლილი სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულებები;</u>*
  - *<u>პროექტის შედგენისას სწორად შერჩეული კვალიფიციური კადრი და სამუშაო გუნდი;</u>*

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ**
- ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
  - პროექტის განხორციელების შედეგად მოხდა ნარჩენების მართვის მუნიციპალური სერვისის გაუმჯობესება 35 %.

ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;

- ➢ პროექტის განხორციელების შედეგად მუნიციპალურ ბიუჯეტში დაიზოგა 85488 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში თანხა.

გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;

- ➢ პროექტის განხორციელების შედეგად, ბიუჯეტიდან დაზოგილი თანხა დაიხარჯა მოსახლეობის სხვა სოციალურ საჭიროებებზე.

დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

- ➢ მომავალი წლის ბიუჯეტში გვაქვს სურვილი შევიტანოთ განაცხადი მძიმე ტექნიკის (1 ერთეული ტრაქტორის) შესყიდვის თანადაფინანსების თაობაზე . მუნიციპალიტეტის კვლავ გეგმავს მიმართოს საგრანტო განაცხადით იაპონიის საელჩოს.

10. საკრებულოს როლი:

1. **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
   - ➢ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ამ პროექტის განხორცილებისას მონაწილეობდა მხოლოდ შეხვედრებისა და პრეზენტაციების დონეზე.
2. **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
   - ➢ საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეოისათვის პროექტის შერჩევისას საკრებულოს მონაწილეობა არ მიუღია.
3. **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**
   - ➢ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას საკრებულოში არსებული ფრაქციებისათვის ამ საკითხით არ მიუმართავს.

11. პრაქტიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

- ➢ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებებზე და შესაბამისად დასჭირდება არაერთი სამთავრობო თუ არასამთავრობო, საერთაშორისო პარტნიორებთან მყისიერი ურთიერთობა. ვიმედოვნებთ, რომ მამავალშიც მივიღებთ მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა პროექტების განხორციელების პროცესში.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** ინნა ახალბედაშვილი (მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, განათლებისა და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი, მცხეთის მუნიციპალიტეტში წარმოქმნილი მუნიციპაური ნარჩენების მართის გეგმის შემუშავებასა და განხორცილებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხების განმსაზღვრელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) საკონტაქტო ტელეფონი : 599231872 . inaaxalbed@yahoo.com
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**:
- მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი - დიმიტრი ზურაბიშვილი, საკონტაქტო ტელეფონი : 577516644 dimitri.zurabishvili@mtskheta.gov.ge
-

  მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - თამაზ ფოლოდაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 577607125 folodashvilit@gmail.com

  „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები -საქართველო"-ს თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძე, საკონტაქტო ტელეფონი: 599514071 nino.chkhobadze@gmail.com

იაპონიის საელჩოს პროექტის კოორდინატორი - მეკო ჩაჩავა. საკონტაქტო ტელეფონი: 599097807 ggpgeorgia@gmail.com

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

1. პროექტის შესახებ ლინკი : http://mtskheta.gov.ge/ka/press-center/news/917
2. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის N170 განკარგულება და დანართი.
3. პროექტის მასალები - არქივი 9 (განაცხადი შევსებულია ინგლისურ ენაზე) ;
4. პროექტის განხორციელების დროს გადაღებული ფოტომასალა.
5. „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები- საქართველო" -სა და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი ;
6. იაპონიის საელჩოს წერილი პროექტის დაფინანსების თაობაზე ;
7. სოციალური ქსელიდან სკრინების ფაილი;
8. ურთიერთშეთანხმების სკანირებული ვერსია ;
9. შეკითხვების იაპონიის მთავრობის მხრიდან და მუნიციპალიტეტის პასუხები (ქართული ვერსია) ;